



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო



KA011813269002320

საქართველო, თბილისი 0154, აკ. წერეთლის გამზ. № 67ა; ტელ: (+995 32) 2 40 10 10 ცხელი ხაზი: (+995 32)2-40-40-20,
ელ.ფოსტა:online@sda.gov.ge, ვებ-გვერდი:www.psda.gov.ge

14 / აგვისტო / 2020 წ.

№ 01/140701

ბატონ გიორგი ბახტაძეს
შპს "აი-სი-ი"
მის.: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, 33B

ბატონო გიორგი,

2020 წლის 12 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) თქვენ მიერ წარმოდგენილ იქნა ადმინისტრაციული საჩივარი (სააგენტოში რეგისტრაციის ნომერი - 95896), რომლითაც ითხოვთ „მოკამმად სამიდ ანსარის 40 დღიანი ვადის დაკმაყოფილებას, რაც საჭირო იქნება მისი საქმის თავიდან განხილვისთვის“. ადმინისტრაციულ საჩივარს თან არ ერთვის მოკამმად სამიდ ანსარის წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება, აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, წარმომადგენელს მოსთხოვოს მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი. ასევე, წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 181-ე მუხლს, რომელიც ადგენს ადმინისტრაციულ საჩივარში მისათითებელი ინფორმაციის ჩამონათვალს, კერძოდ, პირველი ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, ადმინისტრაციულ საჩივარში მითითებული უნდა იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება და სრულყოფილი და მკაფიო მოთხოვნა. თუმცა მიუხედავად აღნიშნული ვალდებულებისა, ადმინისტრაციული საჩივარი არ შეიცავს გასაჩივრებელი აქტის დასახელებასა და მკაფიო მოთხოვნას.

ამდენად, დგინდება, რომ N95896 ადმინისტრაციული საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 181-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნებს. იმისათვის, რომ სააგენტომ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, მნიშვნელოვანია წარმოდგინოთ მოკამმად სამიდ ანსარის წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან მისი სათანადო წესით დამონშემებული ასლი. ასეთი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში კი ასევე მიუთითოთ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება და კონკრეტული, მკაფიო მოთხოვნა.


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, „თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი“. ამავე კოდექსის VI თავის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, „თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო

განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია“. ამასთან, მითითებული მუხლის მე-5 ნაწილი ადგენს, რომ „თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე, 86-ე და 185-ე მუხლების, 181-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მოჰამმად სამიდ ანსარის წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალის ან სათანადო წესით დამონმებული ასლის წარმოსადგენად და ასეთი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელების მისათითებლად და ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნის დასაზუსტებლად გენიშნებათ ვადა - წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღე. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი 2020 წლის 12 აგვისტოს N95896 ადმინისტრაციული საჩივარი სააგენტოს მიერ არ განიხილება.

პატივისცემით,

საქმისწარმოებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

ნათელა წილოსანი